2-7382/26
05-06-2026

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს

ასლი - საქართველოს პარლამენტის აპარატის
იურიდიულ დეპარტამენტს

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის დასკვნა

საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე“ და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაზე „2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მთავრობის ანგარიშზე(1-5150/26/11; 29.05.2026)

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა 2026 წლის 2 ივნისს განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (1-5150/26/11; 29.05.2026).

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2025 წელს ქვეყანაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა. მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 7.5% შეადგინა, რაც აღემატება თავდაპირველად პროგნოზირებულ 6.0%-იან მაჩვენებელს. ამასთან, ნომინალურ გამოსახულებაში მთლიანი შიდა პროდუქტი 12.4%-ით გაიზარდა და 104.6 მილიარდი ლარით განისაზღვრა. საერთო მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესების, მათ შორის, საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვის 10.3%-იანი ზრდის ფონზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობების პოზიტიური დინამიკა, რაც აისახა სავაჭრო ბრუნვის, ტურიზმისა და ფულადი გზავნილების მზარდ მაჩვენებელში.

კომიტეტი დადებითად აფასებს 2025 წელს ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების კუთხით არსებულ პროგრესს, კერძოდ:

- 2025 წელს მთლიან საქონელბრუნვაში ევროკავშირის წილმა 21.6% (5 598.1 მლნ აშშ დოლარი) შეადგინა.
- მთლიან ექსპორტში ევროკავშირის წილი 12.0%-ს (876.8 მლნ აშშ დოლარი) შეადგენს. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ 2024 წელთან შედარებით ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი 52.8%-ით გაიზარდა.

- ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტი 3.2%-ით გაიზარდა. მთლიან იმპორტში ევროკავშირის წილი 25.4%-ია (4 721.3 მლნ აშშ დოლარი), რითაც ევროკავშირი მოწინავე პოზიციას ინარჩუნებს.
- 2025 წელს, წინა წელთან შედარებით, ევროკავშირის ქვეყნებიდან მიღებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 82.9 მლნ აშშ დოლარით (18.7%-ით) გაიზარდა.
- 2025 წელს ევროკავშირიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ 499.9 ათასი პირი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 6.2%-იან ზრდას წარმოადგენს. შესაბამისად, 15.6%-ით გაიზარდა ევროკავშირიდან ტურიზმით მიღებული შემოსავლები და 660.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- მზარდი ტენდენციით ხასიათდება ფულადი გზავნილები ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან. მათ შორის, იტალიიდან გზავნილები გაიზარდა 9.9%-ით (606.2 მლნ აშშ დოლარი), ხოლო გერმანიიდან – 19.2%-ით (306.4 მლნ აშშ დოლარი).

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს“ დადებითად აფასებს და საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველად მომზადებულად მიიჩნევს.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ლევან მახაშვილი